



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი, მაგისტრატურა

კავკასიის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
20-21 მაისი, 2021

დასკვნის წარდგენის თარიღი
6 ივლისი, 2021

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

| | |
|---|----------------------------|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | შპს კავკასიის უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 205050567 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|--|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი |
| უმაღლესი განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია ² | ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის მაგისტრი |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | 0619 ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები, არაკლასიფიცირებული |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში) | - |
| სწავლების ენა | ინგლისური |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 125 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | ახალი |

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|--|--|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | მიხეილ რუხაია, ი.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
|--|--|

¹ ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

| | |
|---|--|
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნანა დიხამინჯია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | მარინე ხიზანიშვილი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | თამარ ლულუნიშვილი, ი.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

წარმოდგენილი ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი ახალი სამაგისტრო პროგრამა არის შპს კავკასიის უნივერსიტეტში მოქმედი ქართულენოვანი აკრედიტებული სამაგისტრო პროგრამის ინგლისურენოვანი ანალოგი. პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციაა „ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის მაგისტრი“ (0619) ახალი საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად.

ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა 2 აკადემიური წელი (4 სემესტრი), ხოლო მოცულობა 120 ECTS კრედიტი:

- ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 72 კრედიტი (მათ შორის სამაგისტრო ნაშრომი 30 კრედიტი);
- ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - 30 კრედიტი.
- თავისუფალი საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები - 6 კრედიტი;
- თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსები - 12 კრედიტი;

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

ექსპერტთა ვიზიტი შ.პ.ს. კავკასიის უნივერსიტეტში განხორციელდა 2021 წლის 20-21 მაისს. ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში იყვნენ პროფესორი ნანა დიხამინჯია, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი მარინე ხიზანიშვილი, შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი და სტუდენტი თამარ ლულუნიშვილი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ექსპერტთა ჯგუფს ხელმძღვანელობდა მიხეილ რუხაია სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მუშაობა მიმდინარეობდა წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად 2 დღის განმავლობაში. 20 მაისს 10:00 სთ-დან 12:00 სთ-მდე ჯგუფის წევრებმა დაათვალიერეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. 21 მაისს 10:00 სთ-დან 19:00 სთ-მდე ექსპერტებს ჰქონდათ ონლაინ შეხვედრები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან და დამსაქმებლებთან. მოეწყო გასაუბრება მომიჯნავე (ქართულენოვანი) სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. დღის ბოლოს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა დაწესებულების წარმომადგენლებს წარუდგინეს ექსპერტთა ჯგუფის ძირითადი მიგნებები.

დაწესებულების წარმომადგენლები მომზადებულები შეხვდნენ ვიზიტს. ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შეუქმნეს კარგი სამუშაო პირობები და უზრუნველყვეს მოთხოვნილი დოკუმენტაციის დროული მიწოდება.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია 1, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან და მეტწილად შესაბამისობაშია მე-2 სტანდარტთან.

- **რეკომენდაციები**

1. მკაფიოდ განისაზღვროს გასაუბრების პროცედურა და საკითხები
2. ყველა ლიტერატურას მიეთითოს გამოცემის წელი;
3. განახლდეს კურსის „მონაცემთა ბაზების და მონაცემთა საცავების მენეჯმენტი“ SQL Server 2019-თვის და შესაბამისად განახლდეს ლიტერატურა;
4. კურსში „საინფორმაციო სისტემები“ დაემატოს თანამედროვე სისტემებთან დაკავშირებული საკითხები და შესაბამისი ლიტერატურა
5. მკაფიოდ განისაზღვროს კურსის „ოპერაციული სისტემები კორპორატიულ გარემოში“ მიზანი და კურსი შეიცვალოს ისე, რომ ტექნიკური ადმინისტრირების ნაცვლად მოიცავდეს საინფორმაციო სისტემების პროექტების დაგეგმვისა და მართვისთვის საჭირო ტექნოლოგიების საფუძვლიან შესწავლას შესაბამისი საათების დათმობით. ამავე კურსში Windows Server 2012 საკითხები ჩანაცვლდეს Windows Server 2019 საკითხებით.
6. კურსი „პროექტების მართვა“ გამდიდრდეს საინფორმაციო სისტემების მართვის სპეციფიკური საკითხებით.
7. კურსში „ბუღალტერია და ფინანსები“ შევიდეს ფინტექთან დაკავშირებული საკითხებიც.
8. კურსში „ელექტრონული მმართველობა“ დაემატოს ელექტრონული მმართველობის უახლესი სისტემების საკითხები და შესაბამისად განახლდეს ლიტერატურაც.
9. კურსში „ადამიანური რესურსების მართვა“ დაემატოს საინფორმაციო სისტემების პროექტებში ადამიანური რესურსების მართვის სპეციფიკურ საკითხები და შესაბამისად განახლდეს ლიტერატურა.
10. სწორად განისაზღვროს კურსის „ინოვაციებისა და ცვლილებების მართვა“ მიზანი და დეტალურად ჩამოყალიბდეს მისი სწავლის შედეგები.
11. კურსში „სტრატეგიული მარკეტინგი“ დაემატოს თანამედროვე მარკეტინგის საკითხები და შესაბამისი ლიტერატურა.
12. გასწორდეს ინგლისურენოვან სილაბუსებში გაპარული გრამატიკული და ლექსიკური შეცდომები. სრულად ითარგმნოს და გასწორდეს ქართულენოვანი სილაბუსების ხარვეზები.

13. რეკომენდირებულია, სამაგისტრო ნაშრომის დებულებაში, მუხლი 13, ქვეპუნქტი 13.1-ის „გ“ ნაწილში ჩაიწეროს პრაქტიკული გამოცდილების დარგის სპეციალისტის კვალიფიკაცია.
14. გამკაცრდეს სამაგისტრო ნაშრომების გაფორმების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.
15. გაიზარდოს პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის რაოდენობა

▪ **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. დაემატოს მისაღები გამოცდა პროგრამისთვის საჭირო კომპეტენციების შესამოწმებლად
2. გაიზარდოს ინოვაციური ტექნოლოგიების სამეცნიერო-ტექნიკური და მეწარმეობის განვითარების ცენტრების აქტივობები მეტი სტუდენტის ჩასართავად
3. სასურველია, პროგრამაში გათვალისწინებული იქნეს უცხოელი სტუდენტების საჭიროებების მიხედვით სწავლებისა და შეფასების მეთოდების განსაზღვრა
4. თუკი კურსი ითვალისწინებს განმავითარებელ შეფასებას, ეს მკაფიოდ გაიწეროს სილაბუსში
5. სასურველია, სასწავლო პროგრამის შესაბამისი გაცვლითი პროგრამების დამატება საზღვარგარეთ არსებულ დარგობრივ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით.

ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო შპს კავკასიის უნივერსიტეტის არგუმენტირებულ პოზიციას, რომელსაც მეტწილად ვიზიარებთ. უნივერსიტეტმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციების უმეტესობაზე მუშაობენ ან უკვე გაითვალისწინეს, რაც მისასალმებელია, თუმცა არ ვიზიარებთ იმ ნაწილს, სადაც აღნიშნავენ, თითქოს ცალკეული რეკომენდაციები უნდა იყოს რჩევების სახით. აგრეთვე, არ ვიზიარებთ მათ პოზიციას 13-ე რეკომენდაციასთან დაკავშირებით.

▪ **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებია:

- სტუდენტს გამოუმუშავოს ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტში სამეცნიერო კვლევის უნარ-ჩვევები, მისცეს როგორც ინფორმაციული ტექნოლოგიების ღრმა, ასევე ბიზნესის მართვის მეთოდოლოგიების ცოდნა და ამით უზრუნველყოს კვალიფიკაციის შესაბამისად წამყვან პოზიციებზე მათი დასაქმება;
- მოამზადოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი მაღალი დონის სპეციალისტი ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტში, ინფორმაციული ტექნოლოგიების ღრმა ცოდნითა და ბიზნესის გარემოსა და სტრატეგიის კარგი ანალიზის, ინოვაციური მეთოდებით მართვის და პრობლემების ანალიტიკურად გადაჭრის უნარით.

კავკასიის უნივერსიტეტის ვებ გვერდის მიხედვით, უნივერსიტეტის მისიაა „კვლევებზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის დანერგვით ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრებზე კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, ზნეობრივად სრულყოფილი, დემოკრატიის იდეალების ერთგული სპეციალისტების მომზადება და საზოგადოების საგანმანათლებლო მოთხოვნების დაკმაყოფილება.“

ამრიგად, ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შეესაბამება შ.პ.ს კავკასიის უნივერსიტეტის მისიას. აქვს ნათლად ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადი მიზნები, რომელიც ასახავს, თუ რა ცოდნისა და უნარ-ჩვევების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებაზეა ორიენტირებული პროგრამა. პროგრამის მიზნები სრულად შეესაბამება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მეშვიდე (მაგისტრატურის) დონეს. პროგრამის მიზნები ასახულია პროგრამის აღწერაში, არის საჯარო და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის; მათი გაცნობა შესაძლებელია უნივერსიტეტის ვებ გვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი“ სამაგისტრო საგანმანათლებლო

| |
|--|
| <p>პროგრამა</p> <ul style="list-style-type: none"> • თვითშეფასების ანგარიში • ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, კურსდამთავრებულებსა და დამსაქმებლებთან • შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი • უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://cu.edu.ge/ |
| <p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| <p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| <p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| <p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| <p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p> |

| |
|---|
| <p>1.2 პროგრამის სწავლის შედეგები</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების |
|---|

- გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები წარმოდგენილია 6 პუნქტის სახით:

- აღწერს და ხსნის ინფორმაციული სისტემების უახლესი თეორიებს, ინფორმაციული ტექნოლოგიების როლს, მართვის მეთოდოლოგიებსა და საერთაშორისო სტანდარტებს, მსჯელობს მათ შესახებ.
- აყალიბებს და გეგმავს ორგანიზაციაში ინფორმაციული ტექნოლოგიების სტრუქტურას, ინფორმაციული ტექნოლოგიების სერვისების მიწოდების სტრატეგიას, სერვისების მიწოდება/მომსახურების პროცესებს;
- იყენებს, ორგანიზაციის გარემოს სუსტი და ძლიერი მხარეების შეფასების მეთოდებს, სტრატეგიული რისკების იდენტიფიცირების და მათი შეფასების ინსტრუმენტებს, სამუშაოს დამოუკიდებლად დაგეგმვის, ხელმძღვანელობის, სარისკო და დინამიურად ცვალებად გარემოში მოქმედების უნარებს;
- აანალიზებს და იყენებს ორგანიზაციისთვის მორგებულ თანამედროვე ბიზნეს ტექნოლოგიებს, ინფორმაციული სისტემების კომპლექსური პრობლემების შეფასების და მათი ინოვაციური მეთოდით გადაჭრის უნარებს;
- საზღვრავს და ათვითცნობიერებს ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროსთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ეთიკური პრობლემებს, საინფორმაციო უსაფრთხოების, მისი დანაშაულისა და ეთიკის პრინციპებს;
- თანამედრო მეთოდოლოგიით, სათანადოდ წარმართავს ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროსთან დაკავშირებულ სამეცნიერო თეორიული და პრაქტიკული კვლევებს.

პროგრამის სწავლის შედეგები მოცემულია საქართველოში მიღებული აკრედიტაციის ახალი სტანდარტების შესაბამისად და აღწერს სამივე კომპონენტს: ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს კვალიფიკაციათა აღწერით უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის სწავლის შედეგებისადმი გათვალისწინებულ მოთხოვნებთან, არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური.

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს, რაც დასტურდება პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკით. პროგრამაში აგრეთვე შემუშავებულია სწავლის შედეგების რუკა, რომელშიც მოცემულია პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის აუცილებელი სასწავლო კურსები და დადგენილია მათი მიღწევის დონეები.

პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად შემუშავებულია მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს პირდაპირ (სტუდენტების აკადემიურ მოსწრებასთან დაკავშირებული მონაცემების ანალიზი) და არაპირდაპირ (სტუდენტების გამოკითხვა) მეთოდებს. განსაზღვრულია სწავლის შედეგების მიღწევის სამიზნე ნიშნულები.

უნივერსიტეტში ხორციელდება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი, რომლის საფუძველზეც დგინდება პროგრამის შედეგების შესაბამისობა დადგენილ სამიზნე ნიშნულებთან ან/და პროგრამის სასწავლო კომპონენტების ეფექტურობა პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მიღწევისათვის. აღნიშნული შედეგების შეფასების ანგარიშის შინაარსიდან გამომდინარე, შესაძლოა პროგრამაში განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- სწავლის შედეგების რუკა
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| | | | | | |
|-----------|-----------------|----------|------------|----|------|
| სტანდარტი | შესაბამისობაშია | მეტწილად | ნაწილობრივ | არ | არის |
|-----------|-----------------|----------|------------|----|------|

| | მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |
|---|--------------|------------------------------|------------------------------|------------------------------|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | X | | | |

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ასახულია პროგრამაში. აპლიკანტის პროგრამაზე დაშვებისთვის მოითხოვება:

- ბაკალავრის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი პროგრამის შესაბამის ან მონათესავე (ინჟინერია, ბიზნესის ადმინისტრირება, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები) დარგში.
- საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება საქართველოს მოქალაქეებისთვის.
- უცხოელი სტუდენტებისთვის საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების გარეშე პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით.
- ინგლისური ენის გამოცდის ჩაბარება (მოიცავს ინგლისურის გააზრებისა და წერის კომპონენტებს B2 დონის შესაბამისად და ზოგად ლოგიკურ და რაოდენობრივი მსჯელობის კითხვებს; ინდივიდი შეიძლება განთავისუფლდეს მოცემული პირობისაგან, იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი (IELTS-6.0, TOEFL-78, B2 დონის სხვა რელევანტური საერთაშორისო სერტიფიკატი ან უნივერსიტეტის რეგულაციით დადგენილი სხვა გარემოება))
- კავკასიის ტექნოლოგიების სკოლის სამაგისტრო მიმღებ კომისიასთან სპეციალობაში გასაუბრების წარმატებით გავლა.

პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

წინაპირობებში განსაზღვრული საბაკალავრო პროგრამები და ინგლისურის გამოცდა ძირითადად ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას. გასაუბრების საკითხის გათვალისწინებით, პროგრამა მეტწილად უზრუნველყოფს აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა დაშვებას პროგრამაზე.

ვინაიდან პროგრამაზე მიიღება ფართო სპექტრის პროგრამების სტუდენტები, მათ

შეიძლება არ ჰქონდეთ საკმარისი ცოდნა საინფორმაციო სისტემების მიმართულებით იმ საგნების ასათვისებლად, რომელიც მითითებულია პროგრამაში, მაგალითად, როგორცაა მონაცემთა ბაზების და მონაცემთა საცავების მენეჯმენტი, ორგანიზაციული რესურსების დაგეგმვის (ERP) სისტემები, საინფორმაციო სისტემების უსაფრთხოება, კიბერუსაფრთხოება მენეჯერთათვის, მონაცემთა კომუნიკაცია და ქსელები, თანამედროვე კრიპტოგრაფია. ამიტომ რეკომენდირებულია, გასაუბრებას ჰქონდეს უფრო ფორმალიზებული სახე, წინასწარ განსაზღვრული თემების ჩამონათვალით. როგორც ინტერვიუების დროს დადგინდა, გასაუბრება ტარდება საფუძვლიანად და კარგად მოწმდება აპლიკანტის მზაობა სამაგისტრო პროგრამისთვის, თუმცა ეს პროცედურა არსად არაა მკაფიოდ გაწერილი. სასურველია, პროგრამაში იყოს მითითებული, რას მოიცავს გასაუბრება ან შემოღებული იყოს გამოცდა, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის დასაძლევად საჭირო უნარების შემოწმებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამა
- თვითშეფასება
- სილაბუსები
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან და სტუდენტებთან
- უსდ ვებ-გვერდი

რეკომენდაციები:

მკაფიოდ განისაზღვროს გასაუბრების პროცედურა და საკითხები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

დაემატოს მისაღები გამოცდა პროგრამისთვის საჭირო კომპეტენციების შესამოწმებლად

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედ დებულებებზე დაყრდნობით, რომლებიც განსაზღვრავს პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესებს, რაც დასტურდება შეხვედრების ოქმებით და ინტერვიუებით. მოცემული ინგლისურენოვანი პროგრამა ძირითადად დაეყრდნო უსდ-ში მოქმედ ქართულენოვან ანალოგს, რომელმაც რეაკრედიტაცია გაიარა 2019 წელს. პროგრამა შედგება 120 კრედიტისგან. აქედან 30 კრედიტი ეკუთვნის სამაგისტრო ნაშრომს. პროგრამაში შედის 8 სავალდებულო კურსი და 12 დარგთან დაკავშირებული არჩევითი კურსი. 12 კრედიტი დათმობილია თავისუფალი კომპონენტებისთვის, რომელიც შეიძლება იყოს ნებისმიერი კურსი სხვა სამაგისტრო პროგრამებში. იმ შემთხვევაში, თუკი სტუდენტი უკვე არ არის დასაქმებული, მისთვის სავალდებულოა პრაქტიკული სტაჟირების გავლა, რომელიც ფარავს 12 კრედიტს. პროგრამაში მითითებულ კურსებს არ გააჩნიათ წინაპირობა.

პროგრამა ძირითადად ითვალისწინებს დარგის თანამედროვე განვითარებას და შემუშავებულია ისე, რომ მეტწილად უზრუნველყოფს საინფორმაციო სისტემების მართვის საჭირო როგორც თეორიულ ცოდნას, ისე პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა ძირითადად ფარავს საინფორმაციო სისტემების მართვისთვის საჭირო ყველა კურსს. თუმცა პროგრამის გაუმჯობესებისთვის რეკომენდირებულია გარკვეული ცვლილებების შეტანა:

- „საინფორმაციო სისტემების მართვა“ გახდეს სავალდებულო კურსი, ვინაიდან ის ფარავს მოცემული კვალიფიკაციისთვის მნიშვნელოვან თემებს, რომლებიც საბაკალავრო საფეხურზე ზოგადად არ ისწავლება.
- პროგრამას დაემატოს არჩევითი კურსი მონაცემთა ანალიზის მიმართულებით. მონაცემთა ანალიზი, რომელიც დღეს საინფორმაციო სისტემების მართვის მნიშვნელოვანი ნაწილია, თითქმის არ არის დაფარული პროგრამაში მოცემული კურსებით.
- ასევე, პროგრამაში მცირედ არის მოცემული საინფორმაციო სისტემის ხარისხის მართვისა და უზრუნველყოფის საკითხები. სასურველია, ამ საკითხებს დაეთმოს ცალკე კურსი.
- ასევე პროგრამაში სასურველია დაემატოს კურსი, რომელიც მოიცავს ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით ასპექტებს, ვინაიდან მანქანური დასწავლა და ხელოვნური ინტელექტი უკვე ბევრი საინფორმაციო სისტემის აუცილებელი ნაწილი გახდა.

პროგრამის განვითარებაში აქტიურად მონაწილეობდნენ დამსაქმებლები, ხოლო სტუდენტების აზრი საჭირო ცვლილებებთან დაკავშირებით დადგინდა გამოკითხვების

საშუალებით. პროგრამის განვითარებაში თითქმის არ ჩანს კურსდამთავრებულთა მონაწილეობა.

პროგრამის შესახებ სრული ინფორმაცია ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან
- თვითშეფასების ანგარიში
- კურიკულუმის რუკა

რეკომენდაციები:

- პროგრამის განვითარებაში აქტიურად იქნეს გათვალისწინებული კურსდამთავრებულთა აზრი;
- „საინფორმაციო სისტემების მართვა“ გახდეს სავალდებულო კურსი;
- პროგრამას დაემატოს არჩევითი კურსი მონაცემთა ანალიზის მიმართულებით.
- ცალკე კურსი დაეთმოს საინფორმაციო სისტემების ხარისხის მართვისა და უზრუნველყოფის საკითხებს.
- პროგრამას დაემატოს კურსი, რომელიც მოიცავს ხელოვნურ ინტელექტის გამოყენებით ასპექტებს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სასწავლო კურსების სწავლის შედეგები ძირითადად ქმნის პროგრამის სწავლის შედეგების ერთობლიობას. სასწავლო კურსები შეესაბამება სამაგისტრო საფეხურს და მათი შინაარსი მეტწილად შეესაბამება თითოეული კურსის სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსებში გამოყენებულია მრავალფეროვანი სწავლის მეთოდები და სამაგისტრო საფეხურის შესაბამისად განაწილებულია საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა სასწავლო კურსში განსაზღვრული უნარებისა და კომპეტენციების მისაღწევად. სასწავლო კურსის შედეგები ფასდება სხვადასხვა მეთოდებით. თუმცა სასწავლო კურსების გასაუმჯობესებლად საჭიროა შემდეგი ხარვეზების აღმოფხვრა:

- კურსში „მონაცემთა ბაზების და მონაცემთა საცავების მენეჯმენტი“ ლიტერატურის უმეტესობა მითითებულია წლების გარეშე; ამავე კურსში ძირითადად ისწავლება SQL Server 2012 საკითხები. SQL Server 2012 სტანდარტული მხარდაჭერა ამოიწურა 2018 წელს და დროებით გაგრძელებული მხარდაჭერა შეწყდება 2022 წელს. საჭიროა ჩანაცვლდეს SQL Server 2019-ის საკითხებით და ლიტერატურაც შეიცვალოს შესაბამისად. ძირითად ლიტერატურაში მითითებული „მონაცემთა ბაზების მართვის სისტემები“, მე-3 გამოცემა გამოცემულია 2002 წელს. სასურველია უფრო ახალი ლიტერატურის გამოყენება.
- კურსში „საინფორმაციო სისტემები“ გამოყენებულია მხოლოდ ერთი ლიტერატურა, რომელსაც წელი არ აქვს მითითებული. თუმცა იძებნება, რომ 2012 წლისაა. სასურველია, მაგისტრატურის საფეხურზე ასეთი კომპლექსური კურსისთვის გამოყენებული იყოს რამდენიმე ლიტერატურა, და ამასთან რიგი საკითხებისთვის - უფრო ახალი ლიტერატურა, რომელიც მოიცავს თანამედროვე სისტემებთან დაკავშირებულ საკითხებსაც.
- კურსის „ოპერაციული სისტემები კორპორატიულ გარემოში“ მიზანი არ არის მკაფიოდ განსაზღვრული, უფრო წარმოადგენს კურსის მოკლე ანოტაციას. მასში მოცემული საკითხები ეხება ოპერაციული სისტემების ტექნიკურ ადმინისტრირებას და მხოლოდ ზედაპირულად ეხება საინფორმაციო სისტემების პროექტების დაგეგმვისა და მართვისთვის საჭირო ტექნოლოგიების შესწავლას. მაგალითად, ერთ თემაშია განხილული ისეთი მნიშვნელოვანი თემები, როგორცაა პროგრამული კონტეინერები და ღრუბლოვანი ტექნოლოგიები. ამავე კურსში ლინუქსის გარდა, ისწავლება Windows Server 2012-ის ადმინისტრირება. სასურველია, შეიცვალოს Windows Server 2019-ის ადმინისტრირების საკითხებით.
- კურსი „პროექტების მართვა“ წარმოადგენს პროექტების მართვის ზოგად კურსს. საინფორმაციო სისტემების პროექტების მართვა მოითხოვს სპეციფიურ მიდგომებს და კომპეტენციებს, რომელიც უნდა იყოს გათვალისწინებული კურსში. ამასთან, საინფორმაციო სისტემების პროექტის მართვის საკითხები არც ერთ სხვა კურსში არაა მოცემული. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ მოცემული კურსი მოერგოს პროგრამის მიზნებს.

- კურსი „ბუღალტერია და ფინანსები“ სასარგებლოა პროგრამისთვის, მაგრამ სასურველია, პროგრამაში უფრო მეტად ისწავლებოდეს ფინტექის საკითხები.
- კურსში „ელექტრონული მმართველობა“ უახლესი ლიტერატურა 2012 წლისაა. იმავე დროს, ბოლო წლებში ელექტრონული მმართველობის სფერო აქტიურად ვითარდება, აქვს ახალი ტიპის გამოწვევები და იყენებს ახალ ტექნოლოგიებს, მაგალითად ბლოკჩეინს, რომელიც საერთოდ არაა განხილული კურსში. საჭიროა მოცემული კურსის შინაარსის განახლება და რიგ საკითხებთან დაკავშირებით უახლესი ლიტერატურის დამატება.
- კურსი „ადამიანური რესურსების მართვა“ მოიცავს ზოგადად ადამიანური რესურსების მართვის საკითხებს და არ ფარავს საინფორმაციო სისტემების პროექტებში ადამიანური რესურსების მართვის სპეციფიკურ საკითხებს, მაგალითად ეჯაილ მიდგომას. გამოოიყენება 2011 წლის ლიტერატურა. საჭიროა კურსის განახლება და შესაბამისი ლიტერატურის დამატება.
- კურსის „ინოვაციებისა და ცვლილებების მართვა“ მიზანი ძალიან მოკლედაა მოცემული, სწავლის შედეგები კი მხოლოდ ორ შედეგს მოიცავს. სასურველია კურსის მიზნების უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბება და სწავლის შედეგების მეტი დეტალიზაცია, სადაც კონკრეტულად იქნება განსაზღვრული, რა უნარებს და კომპეტენციებს შეიძენს სტუდენტი კურსის დასრულების შედეგად.
- კურსში „სტრატეგიული მარკეტინგი“ მხოლოდ ერთი, 2016 წლის ლიტერატურაა გამოყენებული. სასურველია დაემატოს თანამედროვე მარკეტინგის საკითხები, როგორცაა სოციალური მედიის გამოყენება მარკეტინგში და შესაბამისად დაემატოს უახლესი ლიტერატურა.
- ინგლისურენოვან სილაბუსებში არის მცირე კორექტურები და ზოგჯერ კურსის აღწერაში გაპარულია ლექსიკური და გრამატიკული შეცდომები. ქართულენოვანი სილაბუსები მხოლოდ ნაწილობრივ არის თარგმნილი და ზოგჯერ აღწერითი ნაწილი არ არის გასწორებული დარგის სპეციალისტის მიერ, რის გამოც აზრი გაუმართავია ტექნიკური თვალსაზრისით და გამოყენებულია არასწორი ტერმინები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან
- თვითშეფასების ანგარიში
- კურიკულუმის რუკა

რეკომენდაციები:

- ყველა ლიტერატურას მიეთითოს გამოცემის წელი;
- განახლდეს კურსის „მონაცემთა ბაზების და მონაცემთა საცავების მენეჯმენტი“ SQL Server 2019-თვის და შესაბამისად განახლდეს ლიტერატურა;
- კურსში „საინფორმაციო სისტემები“ დაემატოს თანამედროვე სისტემებთან დაკავშირებული საკითხები და შესაბამისი ლიტერატურა
- მკაფიოდ განისაზღვროს კურსის „ოპერაციული სისტემები კორპორატიულ გარემოში“ მიზანი და კურსი შეიცვალოს ისე, რომ ტექნიკური ადმინისტრირების ნაცვლად მოიცავდეს საინფორმაციო სისტემების პროექტების დაგეგმვისა და

| |
|--|
| <p>მართვისთვის საჭირო ტექნოლოგიების საფუძვლიან შესწავლას შესაბამისი საათების დათმობით. ამავე კურსში Windows Server 2012 საკითხები ჩანაცვლდეს Windows Server 2019 საკითხებით.</p> <ul style="list-style-type: none"> • კურსი „პროექტების მართვა“ გამდიდრდეს საინფორმაციო სისტემების მართვის სპეციფიკური საკითხებით. • კურსში „ბუღალტერია და ფინანსები“ შევიდეს ფინტექთან დაკავშირებული საკითხებიც. • კურსში „ელექტრონული მმართველობა“ დაემატოს ელექტრონული მმართველობის უახლესი სისტემების საკითხები და შესაბამისად განახლდეს ლიტერატურაც. • კურსში „ადამიანური რესურსების მართვა“ დაემატოს საინფორმაციო სისტემების პროექტებში ადამიანური რესურსების მართვის სპეციფიკურ საკითხები და შესაბამისად განახლდეს ლიტერატურა. • სწორად განისაზღვროს კურსის „ინოვაციებისა და ცვლილებების მართვა“ მიზანი და დეტალურად ჩამოყალიბდეს მისი სწავლის შედეგები. • კურსში „სტრატეგიული მარკეტინგი“ დაემატოს თანამედროვე მარკეტინგის საკითხები და შესაბამისი ლიტერატურა. • გასწორდეს ინგლისურენოვან სილაბუსებში გაპარული გრამატიკული და ლექსიკური შეცდომები. სრულად ითარგმნოს და გასწორდეს ქართულენოვანი სილაბუსების ხარვეზები. |
| <p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> |
| <p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| <p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○ |
| <p>შეფასება</p> <p>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> <u>მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|--|
| <p>2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება</p> |
| <p>პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების</p> |

განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სასწავლო კურსებში გათვალისწინებულია ისეთი დავალებები და სწავლების მეთოდები, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტების პრაქტიკული უნარების გამომუშავებას. იმ შემთხვევაში, თუკი სტუდენტი უკვე არ არის დასაქმებული, მისთვის სავალდებულოა 12 კრედიტიანი პრაქტიკული სტაჟირების გავლა. პროგრამას ჰყავს პარტნიორი კომპანიები, სადაც სტუდენტები გადიან სტაჟირებას. თუმცა კომპანიებთან დადებულ მემორანდუმებში არაა განსაზღვრული პრაქტიკის მიზანი და სტუდენტთა რაოდენობა. პრაქტიკის მიზანი და მისაღწევი შედეგები დეტალურადაა განსაზღვრული პრაქტიკის სილაბუსში. ინტერვიუებით დადგინდა, რომ სტუდენტთა დიდი ნაწილი დასაქმებულია პროგრამაზე სწავლის პარალელურად. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ინოვაციური ტექნოლოგიების სამეცნიერო-ტექნიკური და მეწარმეობის განვითარების ცენტრები, თუმცა ინტერვიუში მონაწილე სტუდენტებს არ უსარგებლიათ ამ ცენტრებით. სასურველია, გაძლიერდეს ამ ცენტრების აქტივობები.

პროგრამის სავალდებულო კურსია „აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები“, რომელიც უზრუნველყოფს სამეცნიერო კვლევებისთვის საჭირო ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მიღებას. თუმცა მსგავსი ქართულენოვანი პროგრამის სამაგისტრო ნაშრომების შეფასებისას გამოვლინდა, რომ ციტირების წესი ყოველთვის არაა დაცული. პროგრამის ხელმძღვანელი, ისევე როგორც აკადემიური პერსონალი, აქტიურად არიან ჩართული კვლევებში და სტუდენტებსაც სთავაზობენ მონაწილეობას, განსაკუთრებით კიბერუსაფრთხოების კუთხით.

პროგრამის სავალდებულო კომპონენტია სამაგისტრო ნაშრომი, რომლის ფარგლებშიც სტუდენტი ატარებს პრაქტიკულ, კვლევით და სხვა სახის სამუშაოებს, რაც გულისხმობს სტუდენტის მიერ რეალური ტექნოლოგიური პროდუქტის/გადაწყვეტის შექმნას/შემუშავებას, მასთან დაკავშირებული თეზისის დამუშავებას და საბოლოო პრეზენტაციას. მსგავსი ქართულენოვანი პროგრამის სამაგისტრო ნაშრომების შეფასება ადასტურებს, რომ სტუდენტები იკვლევენ დარგის აქტუალურ პრობლემებს, განსაკუთრებით საქართველოსთან დაკავშირებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- მემორანდუმები
- ინტერვიუები დამსაქმებლებთან
- ინტერვიუები სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან და სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებთან

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

გაიზარდოს ინოვაციური ტექნოლოგიების სამეცნიერო-ტექნიკური და მეწარმეობის განვითარების ცენტრების აქტივობები მეტი სტუდენტის ჩასართავად

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაში გამოყენებულია შემდეგი სწავლება-სწავლის მეთოდები:

- ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი,
- წიგნზე მუშაობის,
- წერითი მუშაობის,
- დემონსტრირების,
- პრაქტიკული შემთხვევის ანალიზის (Case study),
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების (PBL),
- ჯგუფური მუშაობის,
- თანამშრომლობითი.

თითოეულ სასწავლო კურსში გამოყენებულია რამდენიმე სწავლების მეთოდი, რომლებიც უზრუნველყოფს კურსში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. ინტერვიუებით

დადგინდა, რომ პროგრამა ითვალისწინებს ცალკეული სტუდენტის საჭიროებებს, თუმცა პროგრამაში არ დასტურდება უცხოელი სტუდენტებისთვის კულტურული და/ან სხვა საჭიროებების გათვალისწინებით სწავლებისა და შეფასების მეთოდების განსაზღვრა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- მემორანდუმები
- ინტერვიუები აკადემიურ პერსონალთან
- ინტერვიუები სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, პროგრამაში გათვალისწინებული იქნეს უცხოელი სტუდენტების საჭიროებების მიხედვით სწავლებისა და შეფასების მეთოდების განსაზღვრა

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შპს კავკასიის უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამას განსაზღვრული აქვს სტუდენტის სწავლის შედეგების (მიღწევების) შეფასების მექანიზმი. სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად, წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით. სტუდენტთა შეფასების მექანიზმები შემუშავებულია „უმადლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში გაწერილია შეფასების კომპონენტები, რომლებიც განაწილებულია ისე, რომ შეფასდეს კურსის ყველა სწავლის შედეგი. ძირითადად გამოყენებულია საშინაო დავალება, აქტივობის შეფასება, შუალედური და ფინალური შეფასება. შუალედურ და ფინალურ შეფასებებში დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვრები. ყველა კურსში გამოყენებულია როგორც დახურული, ისე ღია ტიპის შეკითხვები. კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზოგ კურსში ფასდება პრაქტიკული სამუშაო, კვლევითი ნაშრომი ან პრეზენტაცია. ყველა სილაბუსში ცხადად წერია ქულების გრადაციის მნიშვნელობა. თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ „სტუდენტთა შეფასებისას გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. განმსაზღვრელი შეფასების მიზანია სტუდენტის მიღწევის ზუსტი შეფასება. იგი აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს სტუდენტის მიღწევის დონეს სასწავლო კურსით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებით. განმავითარებელი შეფასება სტუდენტის განვითარებაზეა მიმართული. იგი აწვდის სტუდენტს მიღწევებთან დაკავშირებით უკუკავშირს.“ თუმცა სილაბუსებიდან არ ჩანს, რა ტიპის განმავითარებელ შეფასებას იღებენ სტუდენტები.

სტუდენტს დასკვნით გამოცდაზე ხელახლა გასვლის უფლება აქვს ადმინისტრაციის მიერ დადგენილ ვადაში, მაგრამ დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის ვადაში. უსდ-ს დებულებებზე დაყრდნობით სტუდენტს აქვს ნიშნის გასაჩივრების უფლება.

კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის დებულებაში „გამოცდების ჩატარების წესის შესახებ“ დეტალურადაა გაწერილი თუ რა პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს სტუდენტი რომ დაიშვას გამოცდაზე, რა წესები მოქმედებს გამოცდის მსვლელობისას და რა შემთხვევაში ითვლება კრედიტი ჩათვლილად. „შუალედური/დასკვნითი საგამოცდო ნაშრომი არის ანონიმური. სტუდენტმა მხოლოდ საგამოცდო ნაშრომის თავფურცელზე უნდა მიუთითოს საკუთარი სახელი და გვარი. გამოცდის დასრულების შემდეგ, დეპარტამენტის მიერ საგამოცდო ნაშრომი იშიფრება და გადაეცემა ლექტორს შესამოწმებლად“. გამოცდების შესახებ სტუდენტებს ეცნობებათ არაუგვიანეს 7 კალენდარული დღით ადრე ელექტრონულ ბაზაში სტუდენტის პირად გვერდზე თასვდება ინფორმაცია. აღდგენითი გამოცდის შესახებ ჩატარებამდე 1 კალენდარული დღით ადრე. „ლექტორი ვალდებულია შუალედური/დასკვნითი საგამოცდო ნაშრომი შეაფასოს ჩატარებიდან ერთი კვირის ვადაში; შემოწმებულ შუალედურ/დასკვნით საგამოცდო ნაშრომებს ლექტორი აბარებს დეპარტამენტს განშიფრისა და შეფასებების ელექტრონული ნიშნების ბაზაში შესაყვანად.“ სტუდენტს ნიშნების ელექტრონული ასახვიდან 3 დღის ვადა აქვს რომ გაასაჩივროს ნაშრომი, სტუდენტის მიერ დაწერილი განცხადება ნაშრომთან ერთად გაეგზავნება ლექტორს 3 დღეში მან უნდა განიხილოს

ნაშრომი. აღსანიშნავია რომ უნივერსიტეტში მოქმედებს კასაციის წესი და იმ შემთხვევაში თუ კი სტუდენტი არ ეთანხმება ნაშრომის შეფასებას ერთი სამუშაო დღის ვადაში წერილობითი სახით მიმართავს ვიცე-პრეზიდენტს ადმინისტრაციულ და მონიტორინგის დარგში და ეს უკანასკნელი 2 სამუშაო დღეში ქმნის კომისიას და განიხილავენ ნაშრომს.

„სტუდენტი ვალდებულია შუალედური/დასკვნითი გამოცდის გაცდენის შემთხვევაში, იმავე დღეს ან გაცდენიდან არაუმეტეს 72 საათის განმავლობაში შეავსოს აღდგენის ფორმის ელექტრონული განცხადება, რომელიც ავტომატურად ეგზავნება დეპარტამენტს.“

„სტუდენტი უფლებამოსილია გავიდეს დამატებით გამოცდაზე, თუ იგი ვერ გადალახავს დასკვნითი გამოცდის მინიმალურ კომპეტენციის ზღვარს. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს აკადემიური კალენდრით დადგენილ პერიოდში, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის ვადაში.“

შპს კავკასიის უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები წერენ სამაგისტრო ნაშრომს, რომელიც მოწმდება ანტი პლაგიატის პროგრამაში, Turnitin. ლექტორი ახდენს ნაშრომის შემოწმებას და გასცემს შესაბამის შეფასებებს/რეკომენდაციებს საჭიროების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა ხელახლა ატვირთოს ნაშრომი პროგრამაში. სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კომპონენტები დეტალურად მოცემულია სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში. სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ხელმძღვანელის (20 ქულა), რეცენზენტისა (20 ქულა) და სამაგისტრო კომისიის (60 ქულა) მიერ. სამივე შეფასება მოიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომელთა ქულების გრადაცია დეტალურადაა გაწერილი სილაბუსში. სამაგისტრო ნაშრომში/პროექტში სტუდენტი დადებით შეფასებას იღებს, თუ იგი 100 ქულიდან მიიღებს მინიმუმ 60 ქულას (მინიმალური კომპეტენციის ზღვარი).

თუ სტუდენტი სამაგისტრო ნაშრომისა და მისი საჯარო დაცვის ერთჯერადი შეფასებით, ვერ მიიღებს მინიმუმ 60 ქულას, მაგრამ მისი შეფასება იქნება 41-59 ქულის ფარგლებში, უნივერსიტეტში დადგენილი წესის შესაბამისად მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი წარმოადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო თუ სტუდენტის შეფასება იქნება 0-40 ქულის ფარგლებში ”F”, მაგისტრანტი კარგავს იგივე სამაგისტრო ნაშრომი/პროექტის წარდგენის უფლებას.

შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები არის გამჭვირვალე, გამოქვეყნებულია მარეგულირებელ წესსა და სილაბუსებში რაც ნიშნავს იმას რომ სტუდენტები წინასწარ ინფორმირებული არიან თუ როგორ მოხდება მათი შეფასება სასწავლო კურსის ფარგლებში.

სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს დროს, მათ არ გამოუხატავთ უკმაყოფილება სწავლის შედეგების შეფასების შედეგად პედაგოგის მხრიდან უკუკავშირის მიღების თაობაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამა
- სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში
- სამაგისტრო ნაშრომები
- უსდ დებულებები
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან და აკადემიურ პერსონალთან
- ინტერვიუები სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან

| |
|--|
| <ul style="list-style-type: none"> ○ ინტერვიუ ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან |
| <p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p> |
| <p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>თუკი კურსი ითვალისწინებს განმავითარებელ შეფასებას, ეს მკაფიოდ გაიწეროს სილაბუსში</p> |
| <p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| <p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○ |
| <p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p> |

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | X | | |

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შპს კავკასიის უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამას სტუდენტების ინფორმირების, შეფასების სისტემებისა და აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების პირობების შესახებ ეფექტიანი არხები აქვს. სიახლეების მიწოდება მიმდინარეობს სტუდენტებთან კორპორაციული ელ-ფოსტის მეშვეობით, რომელზეც ყველა შესაბამისი სტრუქტურული ერთეული აგზავნის სასარგებლო და მნიშვნელოვან ინფორმაციას, როგორც შიდა, ასევე, გარე ღონისძიებების შესახებ. ყველა დაგეგმილი აქტივობებისა და სხვადასხვა პროექტის შესახებ ინფორმაცია და ანონსები თავსდება კავკასიის უნივერსიტეტის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელების გვერდებზე. უნივერსიტეტს აქვს სტუდენტური პორტალი რომლის საშუალებით ყოველსემესტრულად ირჩევა საგნები, სტუდენტებს მიეწოდებათ სილაბუსები და სასწავლო მასალები, ეცნობებათ აკადემიური მოსწრების შესახებ.

შპს კავკასიის უნივერსიტეტს აქვს საუნივერსიტეტო სტრუქტურული ერთეულები რომლებიც ეხმარებიან სტუდენტებს სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასთან, დასაქმებასთან და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.

- ✓ სტუდენტთა მომსახურებისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგის დეპარტამენტი;
- ✓ სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტთა რეგისტრაციის სამსახური;
- ✓ კარიერული განვითარების და დასაქმების ხელშეწყობის დეპარტამენტი;
- ✓ სტუდენტთა ომბუდსმენის ოფისი;
- ✓ სტუდენტური ღონისძიებების სამსახური;
- ✓ საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი;

შპს კავკასიის უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისა და მათი უკუკავშირის მოსმენის მიზნით, სტუდენტებთან შეხვედრები ხდება სემესტრულად. სტუდენტებს რეგისტრაციის პროცესში უტარდებათ კონსულტაციები ინდივიდუალურად, სასწავლო ცხრილის და სასწავლო კურსების დაგეგმვის შესახებ.

შპს კავკასიის უნივერსიტეტის მატერიალურ ტექნიკური ბაზის დათვალიერებისას ექსპერტთა ჯგუფისთვის ნათელი გახდა, რომ შიდა სივრცეში არსებობს სტუდენტებისთვის მოწყობილი სივრცეები, სადაც სტუდენტები შეძლებენ შეკრებას და თავისუფალი დროის გატარებას.

შპს კავკასიის უნივერსიტეტს აქვს გაფორმებული მემორანდუმები ადგილობრივ მაღალ რეიტინგულ ორგანიზაციებთან, სადაც სტუდენტები პროფესიის შესაბამისად შეძლებენ

დასაქმებას.

შპს კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტებს სილაბუსებს აცნობს ლექტორი, რომელშიც მითითებულია სწავლის პროცესის შესახებ ინფორმაცია, მითითებულია ინფორმაცია საკონსულტაციო შეხვედრების დროს და ადგილი. სილაბუსებში მითითებული სასწავლო ლიტერატურა სტუდენტს შეუძლია მოიძიოს ბიბლიოთეკაში. თუმცა მათთან საუბრისას აღინიშნა, რომ რიდერების გადაგზავნა ხდება ლექტორების მიერ.

გასაუბრებისას დადგინდა, რომ სტუდენტები ჩართულნი არიან სხვადასხვა აქტივობებში განსაკუთრებით აღინიშნება აქტიურობა გაცვლით პროგრამებში. სტუდენტებთან გასაუბრების დროს მათ გამოთქვეს სურვილი მეტი გაცვლითი პროგრამა ყოფილიყო მათი დარგის შესაბამისი.

უნივერსიტეტის ვებ გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სხვადასხვა სახის სტიპენდიებისა და ფინანსების შესაძლებლობის შესახებ.

უნივერსიტეტის მატერიალური ბაზის დათვალიერებისას ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო სხვადასხვა სტუდენტური აქტივობებისთვის განკუთვნილ ადგილებს რაც ხელს უწყობს სტუდენტების თავისუფალი დროის საინტერესოდ გატარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შპს კავკასიის უნივერსიტეტის ვებ გვერდი;
- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ადმინისტრაციასთან, პროფესორ-მასწავლებლებთან, კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგები;
- საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურის ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
- გამოკითხვის სტატისტიკური შედეგები;
- საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო დისციპლინების სილაბუსები;

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, სასწავლო პროგრამის შესაბამისი გაცვლითი პროგრამების დამატება საზღვარგარეთ არსებულ დარგობრივ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შპს კავკასიის უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს აქტიური კომუნიკაცია აქვთ თავიანთ ხელმძღვანელებთან. ინტერვიუს დროს მათ დაადასტურეს, რომ იღებენ საჭირო მასალებსა და ინფორმაციებს სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებით, ასევე აღნიშნეს ხელმძღვანელების მხრიდან მზაობა ნებისმიერ დროს გაუწიონ შესაბამისი დახმარება. სემესტრის ბოლოს ტარდება გამოკითხვა იმის შესახებ თუ რამდენად კმაყოფილები არიან სტუდენტები გავლილი სასწავლო კურსით, სადაც შეუძლიათ დააფიქსირონ თავიანთი შეხედულებები ანონიმურად.

სასწავლო დაწესებულებას შემუშავებული აქვს ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობისა და ხელმძღვანელობის პროცესის ამსახველი დოკუმენტი, „მაგისტრატურის დებულება“, რომელშიც მითითებულია თუ ვინ უნდა იყოს ხელმძღვანელი და რა ევალება.

„სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს:

- უნივერსიტეტის შესაბამისი დარგის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი;
- საქართველოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი დარგის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი;
- პრაქტიკული გამოცდილების მქონე დარგის სპეციალისტი.“

„მაგისტრანტის ხელმძღვანელი ვალდებულია დაეხმაროს მაგისტრანტს თემის შერჩევაში, კვლევის გეგმის შედგენასა და ბიბლიოგრაფიის შერჩევაში, ეტაპობრივად შეამოწმოს თემაზე მუშაობის პროცესი, გამოთქვას შენიშვნები და კვლევის არასწორი მიმართულებით წარმართვის შემთხვევაში გასცეს შესაბამისი რეკომენდაციები.“

ამ ჩანაწერში, საფრთხის შემცველია პუნქტი „პრაქტიკული გამოცდილების მქონე დარგის სპეციალისტი“, ვინაიდან ასეთ სპეციალისტს შესაძლოა ჰქონდეს ბაკალავრის ხარისხი და გამოვა, რომ ბაკალავრის ხარისხის მქონე პირი არის მაგისტრანტის ხელმძღვანელი.

ამიტომ ეს პუნქტი საჭიროებს დაზუსტებას, რათა თეორიულადაც გამოირიცხოს მსგავსი შემთხვევები.

სამაგისტრო ნაშრომის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია „მაგისტრატურის დებულება“-ში, აგრეთვე სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში, რომელიც ხელმისაწვდომია თითოეული სტუდენტისთვის.

სამაგისტრო ნაშრომების განხილვის შედეგად ექსპერტთა ჯგუფი თვლის რომ სასურველია სტუდენტებს გაულრმავდეთ უნარ-ჩვევები აკადემიური წერის სტანდარტებთან და გაფორმების წესებთან დაკავშირებით. განსაკუთრებით ეს ეხება ლიტერატურის ციტირების წესებს.

სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ კარგად იცნობენ საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შპს კავკასიის უნივერსიტეტის ვებ გვერდი;
- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ადმინისტრაციასთან, პროფესორ-მასწავლებლებთან, კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგები;
- საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურის ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
- გამოკითხვის სტატისტიკური შედეგები;
- საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო დისციპლინების სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია, სამაგისტრო ნაშრომის დებულებაში, მუხლი 13, ქვეპუნქტი 13.1-ის „გ“ ნაწილში ჩაიწეროს პრაქტიკული გამოცდილების დარგის სპეციალისტის კვალიფიკაცია.
- გამკაცრდეს სამაგისტრო ნაშრომების გაფორმების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | X | | | |

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, თანამშრომელთა CV-ების, თანდართული დოკუმენტაციისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალთან უშუალოდ შეხვედრისა და გასაუბრების შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პირები პროგრამაში ჩართულები არიან კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების შესაბამისად. პროგრამის განხორციელებაში ჩართული დარგობრივი პერსონალის რაოდენობა არის 17. მათ შორის 5 აკადემიური პერსონალი (4 პროფესორი, მათ შორის 3 აფილირებული, 1 ასოცირებული პროფესორი) და 12 მოწვეული ლექტორი. აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან.

პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალს გააჩნია შესაბამისი კომპეტენცია, რაც დასტურდება მიღებული განათლებით, პედაგოგიური გამოცდილებით, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული შრომებით, საგრანტო პროექტებში ჩართულობით, საერთაშორისო თანამშრომლობით და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობით, ასევე საერთაშორისო ტრენინგებსა და სემინარებში მონაწილეობით.

მოწვეულ პერსონალს აქვს სფეროს შესაბამისი სამეცნიერო, აკადემიური ან მდიდარი პრაქტიკული მრავალწლიანი გამოცდილება.

ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალი აქტიურ მონაწილეობას იღებს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში.

უნივერსიტეტში მოქმედი წესების თანახმად აკადემიური პერსონალის დატვირთვაში გარდა სასწავლო პროცესში მონაწილეობისა, განსაზღვრულია სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში მონაწილეობის ვალდებულება, რაც აძლიერებს პერსონალის ჩართულობას უნივერსიტეტის აკადემიურ და არაკადემიურ საქმიანობაში.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს შიდა რეგულაცია, რომელიც განსაზღვრავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობებს და მათ თანაფარდობას საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილ სამაგისტრო პროგრამაში, აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა (5/12) აკმაყოფილებს უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს დადგენილება N16-ით განსაზღვრულ კრიტერიუმს (1/5), ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ პროგრამის მეტი მდგრადობის უზრუნველსაყოფად, საჭიროა გაიზარდოს აკადემიური პერსონალის ხვედრითი წილი.

პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია მაღალი კომპეტენცია და დიდი გამოცდილება, რათა მოახდინოს სასწავლო პროგრამის შემუშავება/განახლების პროცესის წარმართვა-კოორდინირება. ის არის არაერთი ადგილობრივი და საერთაშორისო საგრანტო კონკურსების გამარჯვებული პროექტის მონაწილე, როგორც პროექტის ხელმძღვანელის, ასევე მკვლევარის სტატუსით, გამოქვეყნებული აქვს ათობით პუბლიკაცია მაღალრეიტინგულ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში. არის ტექნოლოგიებსა და საინჟინრო მეცნიერებებში მოღვაწე 2018 წლის საუკეთესო ახალგაზრდა მეცნიერი, არაერთი სტიპენდიისა და ჯილდოს მფლობელი, მრავალი სამეცნიერო ფორუმის მონაწილე, მეცნიერი მაღალი ციტირების და h ინდექსით.

ინტერვიუს დროს მკვეთრად გამოიკვეთა ადმინისტრაციული პერსონალის აქტიური მონაწილეობა სასწავლო პროგრამის განხორციელების პროცესში. მათი ფუნქციები და მოვალეობები, ასევე, დეტალურადაა გაწერილი კავკასიის უნივერსიტეტის დებულებაში

მტკიცებულებები/ინდიკატორები

| |
|---|
| <ul style="list-style-type: none"> ○ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის CV; ○ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები; ○ კავკასიის უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს დადგენილება N16 - „კავკასიის უნივერსიტეტის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ ○ კავკასიის უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს 2020 წლის 30 ოქტომბრის დადგენილება N08 - „კავკასიის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაფორმებელი შრომითი ხელშეკრულებების კლასიფიკაციისა და დატვირთვის წესის დამტკიცების შესახებ“ (https://cu.edu.ge - ნორმატიული დოკუმენტები) ○ კავკასიის უნივერსიტეტის დებულება (https://cu.edu.ge - ნორმატიული დოკუმენტები) ○ ინტერვიუს შედეგები |
| <p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ გაიზარდოს პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის რაოდენობა |
| <p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> |
| <p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| <p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| <p>შეფასება</p> <p>ი გოთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p> |

| |
|--|
| <p>4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება</p> |
| <ul style="list-style-type: none"> ➤ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; |

- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კავკასიის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი მუდმივად ახორციელებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასებასა და ანალიზს სტუდენტების გამოკითხვის საფუძველზე. ასევე, ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალის კმაყოფილების გამოკითხვას.

გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე აყალიბებს დასკვნებს და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს. (დოკუმენტები - „პერსონალის კმაყოფილების და შეფასების შედეგების ანალიზი 2020 წელი“, „პერსონალის სამუშაოს შეფასების შედეგები“)

აკადემიური და მოწვეული პერსონალის მხრიდან არაერთხელ აღინიშნა რომ მათ მიერ წამოჭრილ საკითხებს უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ინტერაქტიულ რეჟიმში განიხილავს და ითვალისწინებს.

კავკასიის უნივერსიტეტში მოქმედებს ტრენინგ ცენტრი, რომლის ფარგლებშიც უნივერსიტეტი რეგულარულად ატარებს ტრენინგებს პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა, რაც უზრუნველყოფს აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პოზიციებზე კვალიფიციური კადრის მოზიდვას, შენარჩუნებას, წახალისებას, მოტივაციის ამაღლებას, განვითარებას. მართვის პოლიტიკა ასევე მოიცავს წახალისების პრინციპებს, რომლებიც ითვალისწინებს თანამშრომელთა მუშაობის შეფასებას და შედეგების მართვას, რაც თავის მხრივ შემდგომ განაპირობებს ანაზღაურების და სხვა ბენეფიტების ცვლილების და გაუმჯობესების შესაძლებლობას.

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხარისხის ამაღლების მიზნით, კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტი აღრიცხავს კავკასიის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის კვლევით საქმიანობას: როგორც ადგილობრივი და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებულ პროექტებში ჩართულობას, ასევე, შესრულებული კვლევების შედეგებს (სტატია, მონოგრაფია). ძირითადი თვლადი ინდიკატორების ანალიზის საფუძველზე გეგმავს ღონისძიებებს, რომელიც ამაღლებს აკადემიური პერსონალის კომპეტენციას კვლევებისა და ინოვაციების მიმართულებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პერსონალის პირადი საქმეები
- ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის წლიური ანგარიში (2019-2020 წ.წ.)
- ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალის კმაყოფილების გამოკითხვის შედეგები 2020
- პერსონალის განვითარების ღონისძიებები_2020
- ინფორმაცია საერთაშორისო თანამშრომლობით მიმდინარე პროექტების შესახებ
- მიმდინარე კვლევითი პროექტები
- კავკასიის უნივერსიტეტში კვლევითი საქმიანობის ხარისხისა და აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები

| |
|---|
| <p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p> |
| <p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> |
| <p>საკუთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| <p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| <p>შეფასება</p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|--|
| <p>4.3 მატერიალური რესურსი</p> |
| <p>პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.</p> |
| <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამის განსახორციელებლად კავკასიის უნივერსიტეტს გააჩნია შესაბამისი ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა. ექსპერტთა ჯგუფის ადგილზე ვიზიტის დროს მოხდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემოწმება. კერძოდ, ბიბლიოთეკის, კომპიუტერული კლასების, კომპიუტერული ლაბორატორიის და სააუდიტორიო სივრცეების დათვალიერება.</p> <p>კომპიუტერული კლასების რაოდენობა და კლასებში არსებული კომპიუტერული ტექნიკა საკმარისია პროგრამის შეუფერხებელი განხორციელებისათვის.</p> <p>კავკასიის უნივერსიტეტს გააჩნია კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკა, რომელიც დაკომპლექტებულია ელექტრონული სახელმძღვანელოებითა და ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდით. აქ სრულადაა წარმოდგენილი პროგრამის ძირითადი და დამხმარე</p> |

ლიტერატურა. ასევე, ბიბლიოთეკა აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით. უნივერსიტეტის თანამშრომლებისა და სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია საერთაშორისო ელექტრონული რესურსები - EBSCO, ScienceDirect, Scopus და სხვ. რომელთა საშუალებითაც მათ შეუძლიათ გაეცნონ თანამედროვე გამოცემებს. ასევე, ხელმისაწვდომია Elsevier ელექტრონული ბაზა.

სტუდენტებსა და პროფესორებს ამ რესურსებზე წვდომა აქვთ როგორც უნივერსიტეტის შენობიდან, ასევე სახლიდან. გარე წვდომა ხორციელდება უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით.

ინტერვიუებისას გამოიკვეთა ანალოგიური (ქართულენოვანი) პროგრამის სტუდენტების და კურსდამთავრებულების კმაყოფილება არსებულ რესურსებთან დაკავშირებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მატერილურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება
- ელექტრონული ბაზები და რესურსები
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
კავკასიის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილია კავკასიის ტექნოლოგიების სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის (ინგლისურენოვანი) ბიუჯეტი, სადაც დეტალურად არის ჩაშლილი შემოსავლის მიღების წყაროები და ხარჯები. ხარჯვითი ნაწილი მოიცავს სწავლების (ლექტორების ანაზღაურება, როგორც სალექციო, ასევე სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობის), პროგრამის მომზადება-განვითარების, კვლევითი მიმართულების, პროგრამის აკრედიტაციის, ლიტერატურის, ინტერნაციონალიზაციის აქტივობების დაფინანსებისა და სხვა ხარჯებს. შემოსავლები ეყრდნობა სტუდენტთა გადასახადებს და უნივერსიტეტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილ თანხას. პროგრამის ბიუჯეტი გამჭვირვალეა და მასში ასახულია პროგრამის მოსალოდნელი შემოსავალი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- 2020 წლის 3 დეკემბრის ბრძანება #03/01-07 „კავკასიის უნივერსიტეტის კავკასიის ტექნოლოგიების სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის (ინგლისურენოვანი) ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები ადმინისტრაციასთან, აკადემიურ პერსონალთან და თვითშეფასების ჯგუფთან

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|-----------------------------------|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | X | | | |

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და ანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შპს კავკასიის უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფა და პროგრამის მართვა ხორციელდება დაგეგმე – განახორციელე – შეამოწმე – განავითარე ციკლის მიხედვით. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია, რომლის მიხედვითაც ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამების და მათი განხორციელების შეფასება; სწავლების ადამიანური და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის შეფასება; პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (სტუდენტები, კურსდამთავრებულები, აკადემიური და მოწვეული პერსონალის,

ადამინისტრაციული პერსონალის, დამსაქმებლები) შეფასება.

პროგრამის შემუშავების დროს განისაზღვრება სამიზნე ნიშნულები და ხორციელდება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ასევე რეგულარულად ახდენს საგანმანათლებლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგს, ატარებს კვლევებს, ანალიზებს შედეგებს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს და ინფორმაციას აწვდის პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალს და შესაბამის დეპარტამენტს, სადაც ხდება განხილვა და საჭიროების შემთხვევაში პროგრამის მოდიფიცირება/განახლება.

უნივერსიტეტს შეიმუშავებული აქვს სწავლის და სწავლების ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების შიდა შეფასების სისტემა. შეფასების პროცესში აქტიურად არიან ჩართული უნივერსიტეტის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები. სასწავლო პროგრამის შეფასებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება აკადემიური პერსონალის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას სწავლების მეთოდებთან, სასწავლო მასალის აქტუალობასთან, კურსის ხანგრძლივობასთან და სხვა ასპექტებთან დაკავშირებით. პერსონალის მიერ უკუკავშირი ხორციელდება როგორც გამოკითხვის, ასევე პროგრამის ხელმძღვანელის ინფორმირების გზით.

შიდა ხარისხის შეფასებისათვის გამოიყენება შესაბამისი ინსტრუმენტები, როგორებიცაა შეფასებისა და ანალიზის საშუალებები მაგ. კითხვარები სტუდენტებისათვის, აკადემიური პერსონალისათვის და სხვა. პროგრამაში წარმოდგენილია კითხვარების ნიმუშები, ხოლო მათი ანალიზის შედეგები დაწესებულებაში ვიზიტისას გაგვაცნო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა.

თვითშეფასების ანგარიში მომზადდა აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის აქტიური ჩართულობით. შიდა კომუნიკაციები და თანამშრომლობა ყველა დაინტერესებულ მხარეს შორის უზრუნველყოფილია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან
- საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების წესი

რეკომენდაციები:

| |
|---|
| წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): |
| <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) |
| <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| შეფასება |
| <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p> |

| |
|--|
| 5.2 გარე ხარისხის შეფასება |
| პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს. |
| <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>კავკასიის უნივერსიტეტში მოქმედი წესის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებისა და განვითარების ეტაპებზე ექვემდებარება შიდა და გარე შეფასებას. გარე შეფასებას ახორციელებენ დარგის სპეციალისტები სხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან, დამსაქმებლები და კურსდამთავრებულები შესაბამისი გამოკითხვების გზით. გარეშე პირებისგან საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით მიღებული უკუკავშირი უნივერსიტეტს ეხმარება მიიღოს მიუკერძოებელი ინფორმაცია და ობიექტურად შეაფასოს საკუთარი საგანმანათლებლო პროგრამები.</p> <p>უნივერსიტეტში დანერგილი ყველა პროგრამა შემუშავებულია და ხორციელდება გარე შეფასების შედეგების გათვალისწინებით. ამასთან, პროგრამის ხელმძღვანელი</p> |

ვალდებულია აკრედიტაციის საბჭოს მიერ აკრედიტებულ პროგრამებზე მიღებული რეკომენდაციები, შენიშვნები და მითითებები გაითვალისწინოს.

აღნიშნულმა პროგრამამ უნივერსიტეტში მოქმედი წესის თანახმად გაიარა გარე შეფასების ყველა ეტაპი. პროგრამა შედარებულია 3 ევროპულ, 2 ამერიკულ და 3 ქართულ მსგავს პროგრამებთან. აგრეთვე წარმოდგენილია დადებითი შეფასების წერილები „კავკასუს ონლაინისა“ (დამსაქმებელი) და უკრაინის საავიაციო უნივერსიტეტის პროფესორის მიერ (გარე ექსპერტი).

პროგრამის პერიოდული შეფასებისთვის უნივერსიტეტში ხორციელდება კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვება, დამუშავება და ანალიზი. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან
- საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების წესი
- ბენჩმარკინგის დოკუმენტი
- გარე შეფასების წერილები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სხვა სტრუქტურებთან თანამშრომლობით სისტემატიურად ახორციელებს პროგრამის მონიტორინგსა და შეფასებას. ანალიზის საფუძველზე შემუშავდება რეკომენდაციები და გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

უდს-ში პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოიყენება პირდაპირი და არაპირდაპირი გაზომვის მეთოდები. არაპირდაპირი გაზომვის მეთოდი გულისხმობს: სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვას და ამ შედეგების ანალიზის გზით პროგრამაში დასახული სწავლის შედეგების გაზომვას და, საჭიროების შემთხვევაში, გაუმჯობესებას.

კონკრეტული სასწავლო კურსის ფარგლებში პირდაპირი გაზომვა ხდება: პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკის საშუალებით და კონკრეტულ სასწავლო კურსში წარმოდგენილი ცოდნის შემოწმების ფორმებისა თუ სხვა სახის აქტივობებით. მიღებული მონაცემების მიხედვით კეთდება პროგრამის სწავლის შედეგების ანალიზი სასწავლო კურსებთან მიმართებაში და განისაზღვრება რომელი სასწავლო კურსის/კურსების დახმარებით რა ტიპის სწავლის შედეგი/შედეგები მიიღწევა.

უნივერსიტეტში სწავლების პროცესში რეგულარულად მიმდინარეობს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სააუდიტორიო საქმიანობის მონიტორინგი, ურთიერთდასწრება, რაც აისახება შეფასების ფორმაში. მონიტორინგის გზით მიღებული შედეგები განიხილება ფაკულტეტის საბჭოზე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში და გამოიყენება პროგრამის განვითარებისთვის.

აგრეთვე ხორციელდება სტუდენტთა ყოველსემესტრული გამოკითხვები. გამოკითხვა სავალდებულოა, თუმცა ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ სტუდენტების უმეტესი ნაწილი ობიექტურად ავსებენ კითხვარებს, რომლებიც მოიცავს:

- სასწავლო კურსების/საგნების შეფასებას;
- საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებას;
- დაწესებულებაში არსებული კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო მიზნებისათვის გამოსაყენებელი მატერიალური რესურსის მიმართ კმაყოფილების შეფასებას.

მონიტორინგისა და პროგრამის შედეგების ანალიზის მიხედვით შესაძლებელია პროგრამაში განხორციელდეს ცვლილებები (სასწავლო კურსის დამატება, ან ამ სასწავლო კურსის მოდიფიცირება, პროგრამის მოდიფიცირება/გაუმჯობესება, და სხვა).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, აკადემიურ და მოწვეულ პრესონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთვრებულებთან და დამსაქმებლებთან
- საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების წესი
- ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი
- დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის ფორმები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | X | | | |

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

შპს კავკასიის უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, საფეხური:

ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი, მაგისტრატურა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 41

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | X | | | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | X | | |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | X | | | |

| | | | | |
|---|---|--|--|--|
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | X | | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | X | | | |

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

მიხეილ რუხაია


აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა



ნანა დიხამინჯია

სახელი, გვარი, ხელმოწერა



მარინე ხიზანიშვილი

სახელი, გვარი, ხელმოწერა



თამარ ლულუნიშვილი